წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. კვირა, 12 ივნისი

საქართველო

№ 378

გაზეთის ფასი: წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მოწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ [illegible] პეტიტით ფილს 15 კ., უკანასკნელ [illegible] სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე შიდ ბულ ვანცხ დებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ გლოვიანო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ფილს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲠᲔᲠᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ღრმა მწუხარებასა შინა მყოფნი დეკანოზ იოსებ წერეთელი და მეუღლე მისი ელისაბედ მოსეს ასული; შვილები: მღვდ. ვარლამ, ვიქტორ, ანა, ეკატერინე, ნიკოლოზ, ვლადიმერ და თამარ წერეთლები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ, რომ 29 მაისს ავსტრიის ფრონტზე მტერთან ბრძოლის დროს გმირულად მოკლულ იქნა პირველთა ძვირფასი შვილი, ხოლო უკანასკნელთა დაუვიწყარი ძმა კორნეტი ცხენოსან კაბარდინის პოლკისა

დავითი (კუკული)

დაკრძალვა მოხდება სოფ. ითხვისში, ოთხშაბათს, 15 ივნისს, ამავე სოფლის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის სასაფლაოზე. 2—2

კვირას, 12 ივნისს, ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში დანიშნულია ექვსი თვის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოწაფის

შალვა გიორგის ძის ჩიჯავაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთა და მეგობართ დამწუხრებული და კნ. მარო ნიჟარაძისა
110 და სიძე თ-დი მიშო ნიჟარაძე 1—1

კვირას, 12 ივნისს, დილის 11 საათზე, სა-დგილ-ძამულო ბანკის დარბაზში დანიშნულია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების

საზოგადო კრება.

კრების საბანი:

1) 1914—15 წლ. ანგარიშის განხილვა;
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება;
3) გამგეობის წევრთა არჩევა. 104—2-2

კვირას, 12 ივნისს, დღის 12 საათზე, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში დანიშნულია „სინათლის“ საზოგადოების წევრთა

საზოგადო კრება.

კრების წესრიგი: 1) კრების თავჯდომარისა და მდივნის არჩევა; 2) შემოსავალ-გასავლის ანგარიში და მოხსენება საზოგადოებისა და სასწავლებლების შემოქმედების შესახებ; 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 4) მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა; 5) მოხსენება წესდების რამდენიმე მუხლის შეცვლის შესახებ; 6) მოხსენება ადგილის შეძენის შესახებ; 7) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა ნაცვლად იმ პირთა, რომელთაც წესდების მიხედვით სამსახურის ვადა უთავდებათ. ეს კრება დანიშნულია ნაცვლათ იმ კრებისა რომელიც არ შესდგა 5 ივნისს და ამიტომ კანონიერია, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს

განცხადება

ათეთიაქების საეურადღებოთ

დათიკო ქებაძის სური მარილი (ანგლისკ სოლ), საფაჭროში მიღებულია: სოფაღარათო ზეთი (სლაბიტელი), ინგლისური სასმელი სოდა და გლიცერინა. 5—3

ექიმი გაბრიელ იოსების ძე **გოკიელის** ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. **შინაგანი ნევრებისა** და **ვენერიულ** ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ 6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

ექიმი **ი. ჩარეიძეს** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს **კანის, ვენერიულ** და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით, 12½—2 საათ. საღ. 6—8 საათ.
მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

ექიმი **ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში კაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

ექიმი **მულინი.** ყელის, ცხვრის და ყურების დებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა № 70. სახლი ქაიხოსროო ჯაფარიძისა. 10

დოქტორი მედიცინისა
პრივატდოცენტი
ვ. ბ. მოსაშვილი
მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დიღის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს. — 8 საათ.
2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

გამოცდილი მასწავლებელი
სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ექელა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.
მისამართი: გაზ. **„საქართველოს“** რედაქც.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 9 ივნისიდან ახალი პროგრამა.

პატე ჟურნალი № 344. მიმდინარე ამბები.

სიყვარული ძლიერია არა მარტო ხვევნა-კოცნით

ძლიერი დრამა 4 ნაწ. მუზეუნანის, ლისენკოს, ორლოვისა და ზანოვის მონაწილეობით.

ანონსი: ორშაბათიდან, 13 ივნისიდან ნაჩვენები იქნება: **ტრაპიზონის აღება** სამ ნაწილად. სურათი ხუთ მოქ. შესანიშნავი მომენტები: 1) „გებენთან“ და „ბრესლაუსთან“ ბრძოლა, 2) ბოსტან ფაშის კორპუსის გაქცევა, 3) ბეზ ტერპეზის მაღლობში ბრძოლა, 4) რუსის ჯარის შესვლა ტრაპიზონში.

რვათა დაღუპვა დრამა ორ ნაწილად საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით

ანონსი: ამ მოკლე ხანში ნაჩვენები იქნება მეტად საინტერესო, სენსაციური სურათი სამ სერიათ და 12 ნაწილად კუპრინის **ᲚᲐᲛᲘ.**

ელექტრო „ᲐᲛᲞᲘᲠᲘ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 10 ივნისიდან ახალი პროგრამა.

40 ᲬᲔᲚᲘ.

დრამატიული ლეგენდა გომონის ქრონიკისა ლ. ნ. ტოლსტოის ვერსიიდან 4 ნაწ. უმთავრესს როლს შეასრულებს **პ. Ა ᲑᲐᲙᲨᲔᲔᲕᲘ.**

ანონსი: ორშაბათიდან, 13 ივნისიდან **ᲒᲝᲛᲝᲜᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ** მიმდინარე ამბები.

მიძინებული ხვადა ანუ ხე სიკვდილისა,

ძლიერი დრამა თანამედროვე ცხოვრებიდან დიევსკისა, გოვრილისა, ბურლანოვისა და დანოვინსკის მონაწილეობით. მონაწილეობს საიმპერატორო თეატრის მსახიობი ქ-ნ სმირნოვისა.

ადგილების ფასი **„ᲐᲛᲞᲘᲠᲡᲐ“** და **„ᲠᲐᲓᲘᲣᲛᲨᲘ“**: ლოჟა 85 კაპ., 1 ადგ. 75 კაპ., 2, 50 კაპ., 3, 30 კაპ. მოწაფეთათვის: 2 ადგ. 30 კაპ., ჯარის კაცთათვის მესამე ადგილი 20 კაპ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲗ

დათიკო ქებაძის საფაჭროში მიღებულია დიდძალი ლამპის შუშა № 11, 8, 5. და იყიდება ზომიერ ფასებში. 5—3

მსოფლიო ომი.

დეპეშები.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲡᲐᲠᲓᲚᲘᲡ ᲨᲢᲐᲑᲘᲡᲐ.

დასავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 10 ივნისი. მდ. დვინის ბრძოლის პირის რამდენიმე ნაწილში და უფრო სამხრეთით, საარტილერიო მომზადების შემდეგ, გერმანელები წინ წამოწევას შეეცადენ, მაგრამ ყველგან უკუქცეულ იქნენ. მოლოდეჩნოს სადგურში მტრის ჰაეროპლანებმა 40 ყუმბარა ჩამოყარეს. ოგინის არხის ხაზზე, ლოგიმტინთან, 8 ივნისს, ღამის 11 საათზე, დაიწყო ბრძოლა და გუშინ კვლავ გრძელდებოდა. ვერც ერთმა მხარემ ვერ შესძლო ადიდებულ არხში შლიუზებით გადასვლა. ამ ბრძოლის დროს დაიჭრა გენ. შტეგელმინი და პოლკოვნიკი ბერნგენსტროლენი, რომელიც მალე გარდაიცვალა. ბრუსილოვის ჯარის მთელი ბრძოლის პირზე კერძო ხასიათის ბრძოლები სწარმოებს. მტრის ჯარს კიდევ მოსდის მაშველი ჯარი საფრანგეთისა და იტალიის საზღვრებიდან. ჩვენი წინსვლა ბუკოვინაში გრძელდება. ჩვენ ავიღეთ სოფ. გურა, გუმარა, სტრაჟა (რადაუტის დასავლეთით) და ვიშნიცი (კუტისთან) მტრის დევნის დროს დავატყვევეთ 800 კაცი.

მოწინააღმდეგე კარპატებისკენ იხევს.

კავკასიის ასპარეზი.

მდგომარეობა უცვლელია.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. 9 ივნისი. ბრიტანიის მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან „პუელის ისართან“ გუშინ გერმანელებმა განსაკუთრებით ძლიერი ნაღმი აფეთქეს აამოძრავეს აგრეთვე ზარბაზნები, მიიტანეს იერიშები და შეიჭრენ ინგლისელთა სანგრებში, მაგრამ კონტრიერიშით ინგლისელებმა განდევნეს. ჰოჰენკლერნის რედუტთან ინგლისელებმა აფეთქეს ნაღმი და ნაღმისაგან გაკეთებული ორმო დაიპყრეს დღეს სიმშვიდეა.

პარიზი. 9 ივნისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. ლასინის სამხრეთით გერმანელთა ძლიერმა რაზმა, საარტილერიო მომზადების შემდეგ, იერიში მიიტანა ფრანგთა მოწინავე ჯგუფზე, მაგრამ ფრანგებმა აოტეს და რამდენიმე კაცი მოუკლეს. მდ. მაასის ორივე მხარეს გერმანელები ძლიერ უშენდენ ფრანგებს მძიმე არტილერიას. მაასის მარცხენა ნაპირზე განსაკუთრებით უშენენ 304 სიმაღლეს, მორტჰომს და აგრეთვე მეორე რიგის სიმაგრეთა პოზიციებს. ენციტაკურის მიდამოებში 304-სა და ვენეკურის შუა 6 საათზე ცხარე ბრძოლა მოხდა ხელის ყუმბარებით, შემდეგ იერიში მიიტანეს გერმანელებმა, მაგრამ მოგერებულ იქნენ.

მაასის მარჯვენა ნაპირზე ფრანგებმა კონტრიერიშით დაიპყრეს წინა ღამეს ტყარგული სანგრების უმეტესი ნაწილი ფიუმენის ტყისა და შენუას შუა გერმანელებმა ზარბაზნის ცეცხლი ჯერ არ ყოფილ სიმძაფრემდის განავითარეს. ლოფე — ვევრის ნაწილში ტიომონსა და ვო-შოპარის სიმაგრეთა პირზე მძლავრი საარტილერიო ბრძოლაა. ბრძოლის დანარჩენ პირზე არტილერიის ცხოველი ცეცხლია, განსაკუთრებით შამპანში მონრიუეტტეს ნაწილში. ფრანგთა საჰაერო რაზმმა განდევნა მტრის ჰაეროპლანები, რომელთაც მაასის ღელეში ყუმბარების ჩამოყრა სურდათ, და ორი ჰაეროპლანი ჩამოაგდეს ფრანგთა საჰაერო რაზმმა მრავალი ყუმბარა ესროლა ანრემონის, გრონპრეს, სეტორეის, ბრფელის სადგურებს, კონსონვუასა და ტიანვილის სამხედრო შენობებს

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

— —

საბერძნეთის პარლამენტი და ხალხი შეთანხმების სახელმწიფოთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების წინააღმდეგნი არიან.

— —

გერმანიის გაზეთები სწერენ: ჩერნოვიცის დაკარგვის შემდეგ, ავსტრიელები უკან წესიერად იხევენო

— —

საფრანგეთის პალატის დახურული სხდომები გრძელდება შვეიცარული გაზეთი სწერს: პალატა ამ ჟამათ სამხედრო საკითხებს იხილავსო.

— —

„პრავიტ. ვესტნ.“ სწერს: პოლესიესა და კარპატების მთებში ავსტრო-გერმანელების მხრივ დიდ წინააღმდეგობასა და შემოტევას უნდა ველოდეთო

— —

„რეჩი“-ს აზრით, ავსტრო-გერმანელების მთავარი ყურადღება ამ ჟამად რუსეთის ფრონტისკენ ვლადიმირო-ვოლინის ხაზზეა მიპყრობილი: ამ ადგილების შესანარჩუნებლად მათ ვერდენის ასპარეზიდანაც კი გადმოუყვანიათ ჯარი, რომლის ხელმძღვანელობაც ფელდმარშალ მაკენზენისთვის მიუნდვიათ.

— —

ნორვეგიის გავლენიან პარტიებს შეუმუშავებიათ კანონპროექტი, რომლის ძალითაც სამხედრო პირებსა და ჯარს მაგარი სასმელების ხმარება ეკრძალებათ.

— —

მაკედონიის ფრონტზე არზანის ტბასა და კილინდირთან ფრანგებსა და ბულგარელებს შორის ძლიერი შეტაკებაა.

— —

იაპონიის პრესა აღნიშნავს, რომ გალიციის პირზე რუსთა შეტევა წინამორბედია შეთანხმების სახელმწიფოთა საერთო შეტევის დაწყებისა.

— —

ბულგარეთსა და რუმინიის შორის მიმოსვლა კვლავ შეწყვეტილია

— —

„რუსკ ვედ“ სწერს: ჩვენი გამარჯვება თანდათან ვითარდება გალიციის ასპარეზზე. მართალია, მტერი თავზარდაცემული უკან იხევს, არ მაგრა მან უნდა მიიპყროს ჩვენი უმთავრესი ყურადღება. ახლა საქმე ის არის, რომ შემომტევ მტერს მედგრად შევხვდეთ და დაპყრობილი ადგილები ხელიდან არ გავუშვათო.

— —

ვერდენთან ბრძოლაში მოკლეს საფრანგეთის გამოჩენილი ჟურნალისტი გაიდემაკი.

— —

საერთო საზოგადო ბანკის საბჭოს გადაუწყვეტია საბერძნეთის მთავრობას სესხი აღარ მისცეს.

— —

ტიგროსთან (მესოპოტამია) უკანასკნელ ბრძოლის დროს ინგლისელებს დაკლებიათ 16 კაცი, ოსმალებს—29.

— —

ამას წინად გამოჩენილ პირთა თანადასწრებით დიდის ამბით ბაღდადიდან სტამბოლს გადმოასვენეს ოსმალეთის არმიის ფელდმარშლის ფონ-დერ ჰოლც ფაშის გვამი.

აჭარის სოფლის იჯარის გარშემო.

ჩვენი მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ ქვემორე მოყვანილ წერილებს, რომელთაც ჩვენ ვბეჭდავთ უცვლელად, პირველი წერილი ეკუთვნის გაზეთ „ჩვენი მეგობრის“ რედაქციას და მეორე კი ბ. რაჟდენ დათეშიძეს. ეს წერილები გამოძახილია იმ მითქმა მოთქმისა, რომელიც გამოიწვია საზოგადოებაში ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულმა საბუთებმა იმის შესახებ, რომ ბ. რაჟდენ დათეშიძეს თავის სახელზედ იჯარით აღებული ერთი აჭარელთა სოფელი ვილაც პეტროსიანცისთვის გადაუცია.

რედაქციისაგან.

საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია გაზეთ „საქართველოში“ მოთავსებულმა დეპეშამ ქუთაისიდან, რომლითაც გაზეთს ატყობინებენ, რომ სოფელი „ცრია“ იჯარით აღებული ბ. დათეშიძის მიერ უკანასკნელს პეტროსიანისთვის გადაუცია.

რედაქციამ თავი შეიკავა თავისი აზრი გამოეთქვა ამ საკითხის შესახებ სანამ საქმის ვითარება გამოირკვეოდა. მხოლოდ დღეს იგი მოვალეთ რაცხს თავს განაცხადოს: როგორც უნდა იყოს ამ საქმის ისტორია აჭარლების სოფლის სომეხ მოიჯარადრის ხელში გადასვლა განსაკუთრებით დღეს, შემაძრწუნებელი იქნებოდა. ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ იმას, რომ სოფელი როგორც თვითვე აცხადებს, ჯერ კიდევ ბ. დათეშიძის ხელშია და თუ გამოჩნდება ისეთი ქართველი, რომელსაც შეძლება და სურვილი ექნება ხსენებულ სოფელს უპატრონოს, დღევანდელი მოიჯარადრე მას გადასცემს „ცრიას“ მოსავლელათ.

რედაქცია.

— —

უმორჩილესათ გთხოვთ ბატონო რედაქტორო ადგილი მისცეთ ამ ჩემ წერილს თქვენ პატივცემულ გაზეთში და მით საშვალება მომცეთ პასუხი გავცეგ „სამშობლოს“ თანამშრომელს.

7 მარტს 1916 წელს ავიღე ართვინის მახლობლათ მდებარე სოფელი „ცრია“ (24 დესიატინა) ერთი წლით ე. ი. 1 იანვრამდი 1917 წლამდი, სულ 481 მანეთში. ეს სოფელი ტორგით უნდა გაცემულიყო ართვინში, მარა მსურველი არავინ აღმოჩენილა და ქუთაისის სახაზინო მამულების სამართველომ დამითმო მე ისეთ, როგორც შეფასებული იყო, ესე იგი 481 მანეთათ მიზანი ჩემი არ ყოფილა ამ მამულით რაიმე მოგების მოპოვება, არამედ ჩემი სურვილი იყო მეპატრონეობია, მომეკლო და, როდესაც მცხოვრებლები დაბრუნდებოდენ, მათთვინ გადაცემა. მე სრული იმედი მქონდა, რომ ვისმეს საიმედო პირს ვიშოვიდი, ჩავაბარებდი მამულს მოსავლელად და ჩემი მატერიალური დახმარებით და მისი შრომით ერთი მამული მაინც შეენახებოდა იქაურ მცხოვრებლებს მარა ამაოდ, იმედი გამიცრუდა. თავდაპირველათ მივმართე ჩემს კარგს მეგობარს ბ. გიორგი ახვლედიანს და ვსთხოვე მას, როგორც შეგნებულ ადამიანს ეკისრა თავის თავზე ამ მამულის მოვლა პატრონობა შემდეგი პირობებით: თვეში ჯამაგირი ასი მანეთი და თუ რა იმე გადარჩებოდა ხარჯებს მოგებიდან, ნახევარი კიდე მას უნდა წაეღო. დამეთანხმა, წავალ დავათვალიერებო და მერე გეტყვი ყველაფერსო. 4 აპრილს კიდევაც გაემგზავრა ართვინისაკენ სრული იმედი მქონდა, რომ ბ. გიორგი ახვლედიანი დასთანხმდებოდა ამ ჩემს წინადადებას, მარა ძლიერ დამაღონა მისმა განცხადებამ, როდესაც ერთი კვირის შემდეგ ჩამოვიდა და უარი მითხრა: ამ ზაფხულში ვერ წავალ ჩემი მამულიც მოსავლელი მაქვს და არ შემიძლიაო. შემდეგ ამისა მისივე რჩევით მივმართე ბ. კოტე ბერეკაშვილს (უფროს აგრონომს) და მასაც ვემუდარე, იქნებ ვინმე ეშოვა სანდო და მცოდნე პირი, სოფელ „ცრიის“ მართველათ. იმანაც უარი მითხრა. მოველაპარაკე ერთ ჩემს ნაცნობს, რომელიც დიდი ხნის ნამსახური იყო ართვინის ოლქში, მასაც შევსთხოვე ვინმე ქართველი კაცი ეშოვნა ჩემთვის და მან დამისახელა ბ. დეკანოზიშვილი ართვინის ოლქის უფროსი შევსთხოვე მას წერილობით, რომ მიეღო თავის თავზე მამულის მართვა. გამგეობა და ყოველი საჭირო ხარჯები კი მე უნდა გამეწია დამეთანხმა, მიიღო ჩემი წინადადება და თხოვნა. 14 აპრილს კიდევაც ტელეგრამით გაუგზავნე საჭირო ფული. ორი კვირის შემდეგ ესე იგი აპრილის ბოლო რიცხვებში მომდის წერილი ბ. დეკანოზიშვილისგან, რომ მას არ შეუძლია ყური უგდოს მამულს, ვინაიდგან სამსახურის გამო ხშირათ უხდება გარეშე ადგილებში ყოფნა. როგორც კი მივიღე ეს ბარათი, კვლავ შეუდექი კაცის ძებნას, ბევრი ძებნისა და ფიქრის შემდეგ მივმართე ერთს ჩემს კარგ ნაცნობს და მეგობარს ბ. ილარიონ ბოლქვაძეს. მასაც შევსთავაზე იმდაგვარი პირობები, როგორც ბ. გ. ახვლედიანს, მარა მანაც უარი გამიცხადა. ამასობაში სიცხეები დადგა: ვენახებს წამლობა და მოვლა უნდოდა. ზეთისხილის ხეებს კი მორწყვა და პატრონობა უნდოდა. პირობის მე 5—თე მუხლის ძალით კი მე პასუხის მგებელი ვარ, თუ რაიმე ზიანი მოუვიდოდა მამულს ჩემს ხელში. ჩემი ქონებით უნდა ამენაზღაურებინა. ტელეგრამით შევსთხოვე ბ. დეკანოზიშვილს: ვინმე ეშოვნა საიმედო კაცი, რომელსაც ჩავაბარებდი ჩემ მიერ აღებულ სოფელს. მან დამისახელა ვილაც პეტროსიანი რადგანაც სრული დარწმუნებული ვიყავი, რომ ბატონი დეკანოზიშვილი ურიგო ადამიანს არ დამისახელებდა მეც ავიღე და ართვინის ლესნიჩს ვაცნობე, რომ ბ პეტროსიანცი დაეშვა მას მამულის მომვლელათ, გადაცემა კი აზრადაც არ მქონდა. ართვინის ლესნიჩმა მაცნობა, რომ თუ გსურს პეტროსიანცის დაშვება მამულის მომრებათ ქუთაისის სახელმწიფო ადგილების სამართველოში შეიტანეთ თხოვნა და ითხოვეთ პეტროსიანცისთვის მისი გადაცემაო. შევეკითხე ბ დეკანოზიშვილს ტელეგრამით და მირჩია ასეთ მოვქცეულიყავი, ვინაიდგან სხვა არავინ ეგულებოდა მის მეტი. ამის შემდეგ შევიტანე თხოვნა აქაურ სახაზინო ადგილების სამართველოში, რათა ჩემი მიერ აღებული სოფელი გადაეცათ ბ. პეტროსიანცისათვის. ბ. დეკანოზიშვილი მწერდა, რომ იქნებ თქვენ მიერ დახარჯული ფულები პეტროსიანცმა აგინაზღაუროს, თუ მოსავალი არ გაფუჭდაო. რაც შეეხება მოვლას მამულისას ამაზე თვალყურს ადევნებდა თვით ართვინის ლესნიჩი. ფულათ ფული კი ერთი კაპიკიც არ ამიღია და ავიღებ თუ არა ესეც არ ვიცი. ამაზე კი სულ მეტათ მომაჩნია ლაპარაკი, ვითომ მე ორი სამი ათასი და, როგორც ზოგიერთების ფანტაზია მუშაობს, ოთხმოცი ათასიც ამეღოს ეს სრული მტკნარი სიცრუეა.

იმის მიუხედავათ რომ ჩემ მიერ თხოვნა შეტანილი იქნა ბ პეტროსიანცზე სოფელ „ცრიის“ გადასაცემათ მე კონტრაქტს მინამდი მას არ გადავცემდი სანამდი ის მე სანდო პირს არ დამისახელებდა, რომელსაც ეთავდება ჩემთვის, რომ ის ჩემ მიერ აღებულ მამულს კარგად მოუვლიდა და არაფერს არ გაანადგურებდა. ამიტომაც კონტრაქტი დღესაც ჩემს ხელშია და მისთვის არ გადამიცია, ესე იგი სოფელ „ცრიის“ მოიჯარადრე დღესაც მე ვარ. და თუ ვინმე ქართველთაგანი საიმედო გამოცდილი პირი იკისრებს მის მოვლა პატრონობას მაშინათვე გადავსცემ მას ჩემს პირობას, ამით მე ვათავებ ჩემს წერილს და დავსძენ შემდეგს 1. სოფელი „ცრია“ ჩემს ხელშია დღესაც, 2, არავისაგან მე არავითარი ფული არ მიმიღია და არც ვღებულობ რაც შეეხება ერთს ჯგუფს საზოგადოებისას, რომელმაც ასეთი აღელვებით და დორბლით პირში ხმა აღიმღლა მე არავითარ პასუხს არ ვაძლევ და არც მათ მსურს გავცე, ვინაიდან კარგათ ვიცი, თუ რა იყო მიზეზი მათი ამდაგვარი მოქცევისა და აღელვებისა ძალლის თავი სულ სხვაგან არის დამარხული

ვის უფრო უყვარს ჩვენი სამშობლო მათ თუ მე? ისინი უფრო სპეტაკი გრძნობით არიან აღჭურვილნი სამშობლოსადმი თუ მე ეს საზოგადოებამ გასაჯოს.

პატივისცემით რაჟდენ დათეშიძე.

— —

არ გვგონია რომ თუნდაც ერთმა ჩვენმა მკითხველთაგანმა, რომელსაც წაუკითხავს ამ საგნის შესახებ ჩვენს გაზეთში მოთავსებული წერილები, გაიზიაროს ნაწილიც იმ კმაყოფილებისა და სიამოვნებისა, რომელიც განუცდია „ჩვენი მეგობრის“ რედაქციას ბ რაჟდენ დათეშიძის საპასუხო წერილის გაცნობით.

ერა ერთმა და ორმა დღემ განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენს გაზეთში დაისტამბა წერილი, რომელშიდაც ბ. რაჟდენ დათუშიძეს კატეგორიულად ბრალს სდებდენ — რომ მან იჯარით აღებული აჭარელთა სოფელი სომეხ პეტროსიანცს გადასცა ამის შემდეგ ჩვენს გაზეთში კიდევ დაიწერა წერილი ამ საგანზედ და ბოლოს გაზეთის ფურცლებზედ გამოქვეყნებული იქმნა ის საბუთები, რომლის საშვალებით ბ. დათეშიძემ ეს სოფელი პეტროსიანცს გადასცა. ამ ბრალდებებზე ბ. დათეშიძე არავითარ პასუხს არ იძლევოდა. ზოგნი ამბობდენ — ბ. დათეშიძე თავს იმით იმართლებს, რომ სოფელს მე ვერ მოუარე, ვერც ვინმე ვიშოვე მომვლელად და ამიტომ იძულებული ვიყავი სომხისთვის გადაეცაო. იმასაც კი ამბობდენ, რომ ყოველივე ის, რაც ამაზედ დაიწერა სიცრუეა და დათეშიძეს აზრად აქვს ამ დღეებში გამოაქვეყნოს საბუთები, რომლის შემწეობით ის გაზეთ „სამშობლოს“ ცილისწამებას დაუმტკიცებსო.

ბ. რაჟდენ დათეშიძემ ვერ გაამართლა ზოგიერთი მისი მეგობრების იმედი და ის თავის საპასუხო წერილში სავსებით და თავის სიტყვით ადასტურებს იმას, რაც ჩვენს გაზეთში ამის შესახებ დაიწერა. „შევიტანე თხოვნა აქაურ სახაზინო ადგილების სამმართველოში, რათა ჩემ მიერ აღებული სოფელი გადაეცათ ბ. პეტროსიანცისთვისო“ ასეთი თხოვნა ბ. დათეშიძესი შეწუნარებული იქმნა და ადგილი გადაეცა ბ პეტროსიანცს. ჩვენ ამისი საბუთიც მოვიყვანეთ, მიუხედავად ამისა, ბ. დათეშიძე ამტკიცებს, რომ სოფ „ცრია“ ჯერ მაინც მის ხელშია, რომ მას არავისგან არავითარი ფული არ მიუღია და სხ. ესეც შესაძლოა, იქნებ ბ. პეტროსიანცს ჯერ კიდევ არ შეუსრულებია თავისი ვალდებულებანი. იქნებ საქმის სრულიად დაგვირგვინებას კიდევ აკლია ფორმალური რამ მხარე. შესაძლოა. ხოლო ბ. დათეშნძეს თავის მხრით ყოველივე შეუსრულებია, რაც კი საჭირო იყო, რომ ეს სოფელი ბ პეტროსიანცის ხელში გადასულიყო. და განა ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ეს საქმე სამუდამოთ დაკარგულია და მისი გამოკეთება არ შეიძლება თქო? აკი ჩვენ ვურჩევდით საქველმოქმედო საზოგადოებას ამ საქმეში ჩარევას და მის ჩვენ სასარგებლოთ გამოსწორებას. დღესაც მივმართავთ ასეთისავე თხოვნით

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ.

(ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ).

საფრანგეთის მთავრობა 10 აგვისტოდან 1792 წ. (ლუი XVI-ს გადაყენებიდან) 4 ბრუმერამდის IV წლისა (26 ოკტომბრამდის 1795 წ.) ე. ი. კონვენტის დათხოვნამდის რევოლუციური იყო, რადგან უფლება არა ჰქონდათ განაწილებული საკანონმდებლოსა, აღმასრულებელსა და საკანონმდებლო დაწესებულებათა და ყველაფერს საერო კრება, ან წარმომადგენლობა, განაგებდა.

ამ ხნის (სამი წლის) განმავლობაში 1791 წლის კონსტიტუცია მოქმედებდა, რომელიც დროსა და გარემოების მიხედვით ისე შესაკვალეს, რომ კაცისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციის პრინციპები თითქმის გაუქმებულ იქმნენ.

ამგვარი ცენტრალიზაცია მაშინ საჭირო იყო და 10 აგვისტოდან 1793 წ. კონვენტმა დააკანონა იმ დროისათვის, ვიდრე ომი იქნებოდა. 14 ფრიმერს II წლისა (4 დეკ. 1793 წ.) კი დროებითი რევოლუციური კონსტიტუცია დაწესდა, რომელმაც რამდენსამე თვეს გასტანა, ვიდრე რესპუბლიკის ჯარების გამარჯვებამ, როგორც შეუფერებელი და ნამეტნავი, არ გააუქმა და მასთან ერთად მისი განმასახიერებელი პიროვნებაც—რობეს-პიერი ძირს არ დასცა (26 ივლისს 1794 წ.) ან 9 თერმიდორს II წლისა).

10 აგვისტ. 1792 წ. საერო საკანონმდებლო კრებამ მეფობის გაუქმებისთანავე დააწესა აღმასრულებელი საბჭო, რომლის 6 წევრი ან მინისტრი თვთ კრების მიერ არჩეული (არა-დეპუტატთა) შორის და კრებისავე წინაშე პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო აღმასრულებელი საბჭოს პირველი კრება მოხდა 13 აგვისტოს 1792 წ უკანასკნელი კი 30 ჟერმინალს II წლისა (19 აპრილს 1794 წ.) როდესაც კონვენტის მიერ 12 ჟერმინალს II წლ. (პირველ აპრილს 1794 წ.) გამოცემული დეკრეტის ძალით ხსენებულმა ორგანომ 12 აღმასრულებელ კომისიას დაუთმო ადგილი.

აღსანიშნავია, რომ აღმასრულებელ საბჭოში სამართლის მინისტრად 10 აგვისტოდან 9 ოქტომბრამდის 1792 წ. დანტონი იყო, შინაგან საქმეთა მინისტრად კი 10 აგვისტ. 1792 წ. 22 იანვრამდის 1793 წ. როლანი.

პირველი მინისტრის თანამდებობა არ იყო დაწესებული და პრეზიდენტობის მოვალეობას მინისტრები მორიგეობით ასრულებდენ.

როდესაც კონვენტი შეიკრიბა, დაადასტურა დანტონისა და როლანის მინისტრობა, რომელიც იმავე დროს დეპუტატებად იყვნენ, მაგრამ ძველ ადათს ვერ უღალატა და 29 სეკტემ. 1792 წ. დაადგინა, დეპუტატები ვერ იქნებიან მინისტრებადო. მაშინ დანტონმა უარი სთქვა მინისტრობაზე, როლანმა კი დეპუტატობაზე.

მაგრამ სამხედრო საჭიროებამ აიძულა კონვენტი აღმასრულებელი უფლება არა გაერეშე პირთათვის, არამედ თავის წევრთათვის ჩაებარებია. ამიტომ იანვარში 1793 წ. დააარსა მან საერო თავდაცვის კომიტეტი, რომელიც აღმასრულებელ საბჭოს ზედამხედველის როლს ასრულებდა და შემდეგ ხსენებული საბჭო სავსებით დაუმორჩილა საზოგადოების ხსნის კომიტეტს (6 აპრილს 1793 წელს.)

მაშასადამე მოხდა მეტი შენაწევრება, შეერთება საკანონმდებლოსა და აღმასრულებელ ფუნქციათა შორის, რადგან მართებლობის ამგვარ გაერთიანებას, ცენტრალიზაციას სამხედრო საჭიროება მოითხოვდა.

ამიტომ, როდესაც აღმასრულებელი საბჭო გააუქმეს და 12 აღმასრულებელი კომისია დააწესეს (1 აპრილს 1794 წ. ან 12 ჟერმინ. II წლისა), როგორცა ვთქვით, ეს კომისიები საზოგადოების ხსნის კომიტეტის უბრალო კანცელარიებს წარმოადგენენ და 29 ჟერმინალს II წლისა (18 აპრილს 1794 წ.) მან აირჩია მათი წევრები: ეს აღმასრულებელი კომისიები მუშაობდენ აღმასრულებელი დირექტორიის დაწესებამდის, ე. ი. 4 ბრუმერამდის IV წლისა (26 ოქტომბრამდის 1795 წლისა.)

აღსანიშნავია შემდეგი ფაქტები. როდესაც დანტონი აღმასრულებელი საბჭოს წევრად, იყო, ეროვნული თავდაცვისა, საგარეოსი და საზოგადო პოლიტიკის მესვეურობა მას ებარა. და როდესაც ის საბჭოდან გავიდა (ოკტ. 1792 წ), საბჭოში მოიპოვა გავლენა როლანმა, რომელიც ჟირონდისტულსა და ანტიდემოკრატიულ პოლიტიკას აწარმოებდა, თუმცა დანტონის გავლენა მაინც კიდევ არ შემწყდარა. აპრილიდან 1794 წ. დანტონი როგორც საზოგადოების ხსნის კომიტეტის წევრი, საგარეო საქმეთა ნამდვილ მინისტრად იყო 10 ივლისამდის 1792 წლისა, როდესაც კომიტეტიდან გავიდა. აღმასრულებელ საბჭოს საზოგადოების ხსნის კომიტეტის დაწესებიდანვე დაეკარგა მნიშვნელობა და შემდეგ მხოლოდ კონფისკაციათა ტრიბუნალად (სასამართლოდ) გადიქცა.

დანტონის როლი აქ მიტომ აღვნიშნე, რომ მეჩვენებია, რა დიდი როლი ეკუთნის პიროვნებას ისტორიაში.

თუთ საერო კონვენტი იყო უმთავრესი ორგანო, ანუ ცენტრი, რევოლუციური მართველობისა. მისი დანიშნულება იყო —კონსტიტუციის გადასინჯვა და დაწესება. ის შეიკრიბა 20 სეკტემბერს 1792 წ. და მუშაობდა 26 ოკტომბრამდის 1795 წ. (4 ბრუმ. IV წლ.), ე. ი. სამი წლის განმავლობაში. 749 დეპუტატი, არჩეული საყოველთაო საარჩევნო ხმით, ჰყავდათ დეპარტამენტებს, 34 დეპუტატი კი უნდა ჰყოლოდათ ახალშენებს, თუმცა ნამდვილად უკანასკნელთა მხოლოდ 18 დეპუტატი იღებდა მონაწილეობას. საარჩევნო კრებათა მიერვე იყო არჩეული 298 კანდიდატი, რომელნიც იქერდენ განთავისუფლებულ ადგილებს, როდესაც კონვენტს წევრები გამოაკლდებოდენ. რევოლუციის დღიდან რომ მესამე წელი დადგა, კონვენტმა გაძევებული ჟირონდისტები კვლავ მოიწვია და უკანასკნელნი ერთად ისხდენ იმ კანდიდატებთან, რომელთაც მათი ადგილები ეჭირათ.

რადგანაც კონვენტის წევრები ხშირად იგზავნებოდენ სხვადასხვა მინდობილობის ასასრულობლად, სხდომას ჩვეულებრივ 350-ზე მეტი არ ესწრებოდა

29 დეპუტატი ეკუთნოდა ძველ საეზნაურო გვარებს. იყვნენ მათ შორის აგრეთვე ეპისკოპოსები და მღვდლები.

კონვენტის დადგენილებათ ეწოდებოდათ „დეკრეტები“. როდესაც დეკრეტებს აღმასრულებელი ორგანო ბეჭედს დაასვამდა და გამოაქვეყნებდა, დეკრეტები შეიქნებოდენ კანონებად.

კონსტიტუციის შეცვლის დაკანონებისათვის საჭირო იყო კანონპროექტის სამჯერ და სხვადასხვა დღეს წაკითხვა და მოწონება.

კონვენტის წევრები შედიოდენ სხვადასხვა კომისიაში, სულ 21 მუდმივი კომისია იყო, მათ შორის კომისია საზოგადოების ხსნისა (6 აპრილიდან 1793 წ.), კომისია საზოგადო მშვიდობისა (17 ოკტომბრიდან 1792 წ), სამხედრო კომისია, საკანონმდებლო კომისია, სამხედრო სურსათისა და ტანსაცმელის კომისია, ფინანსთა კომისია და სხ. იყვნენ დროებითი კომისიებიც, მაგალითად, 12 კაცისაგან შემდგარი საგანგებო კომისია, რომელსაც უნდა ეხმარა, ენერგიული ღონისძიება საზოგადო მშვიდობის დამყარებლად (18 მაისს.—31 მაის. 1793 წ.) საკონსტიტუციო კომისია, რომელიც დაითხოვეს 16 თებერვალს 1793 წლ. და სხ.

პატივცემულ საზოგადოებას. „სოფელ „წრიას“ დაბრუნებას ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელობა აქვს ჩვენ ის უნდა დაიბრუნოთ იქნებ „წრიას“ გადაცემა-აუცილებლად დაბრუნებულიყო?

რასაკვირველია, ყოველივე ამ პუნქტების შემდეგ, რაც ჩვენ ავტეხეთ აჭარის მიწების სომხებზედ გაცემის გარშემო, ქართველისგან აღებულ სოფელის შეძენას ბ. პეტროსიანცს დიდ ეროვნულ დამსახურებად ჩაუთვლიან მისიანები. მაგრამ ვინ იცის, იქნებ მანაც, სავსებით ჩაბარებულიც თუ აქვს მას ეს სოფელი, გადასცეს სხვას ეს მამული იმავე საბუთების ძალით, რა საბუთებითაც იხელმძღვანელა ბ. დათეშეძემ, როდესაც ეს სოფელი სომეხს გადასცა. . ამისთვის იქნებ საჭირო შეიქნეს ცოტაოდენი თანხის გაღებაც ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ბ დათეშიძის აღთქმით, რომ ის ამ სოფელს გადასცემს (თუ პირობას მხოლოდ?) თუ ვინმე „საიმედო და გამოცდილი“ ქართველთაგანი აღმოჩნდება ამის მსურველი, და ეს სოფელი ისევ უნდა დავიბრუნოთ.

საჭიროდ ვსცნობთ აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის, და ალბად სხვებისთვისაც (გარდა „ჩვენი მეგობრის“ რედაქციისა) დათეშიძის საპასუხო წერილში მნიშვნელოვანი იყო სწორედ ეს ორი მომენტი-და დასტურება იმისა, რომ მან ეს სოფელი სომეხს გადასცა და დაპირება, რომ მას კიდევ შეუძლიან ამ საქმის ოდნავად მაინც გამოსწორება. დანარჩენი ბ დათეშიძის მტკიცებანი რომ, მას მოგებისათვის არ აუღია ეს სოფელი და მოგებისათვის არც გადაუცემია პეტროსიანცისთვის, რასაკვირველია, ძნელად დასასაბუთებელია, და ბევრად უფრო ძნელად, ვინემ ამის საწინააღმდეგო მოსაზრების დამტკიცება. ჩვენ მას სრულიად არ ვეხებით. თუ ანგარებით არ აიხსნება ეს ფრიად სამწუხარო მოვლენა—ქართველისგან აღებული აჭარის სოფლის სომეხზედ გადაცემა, არ გვგონია, რომ ამ შემთხვევაში ანგარების ადგილი დაეჭიროს იმ სამშობლოს სიყვარულის გრძნობას, რომელზედაც ასეთის გაბედულებით სწერს ბ დათეშიძე თავისი წერილის დასასრულში.

ან იქნებ იმ მოვლენას ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა, რომ ბ. დათეშიძემ იჯარით აღებული სოფლის მმართველად მოიპატიჟა რიგ-რიგად თავისი მეგობრები და როდესაც მათ ეს არ იკისრეს, მან მამული სომეხს გადასცა? საყურადღებო აქ ის არის, რომ ბ. დათეშიძე თავის მეგობრებს ჯამაგირში იწვევდა და მამულის გადაცემა კი მათთვის სრულებითაც არ დაუპირებია

თუ ბ დათეშიძემ თავის მეგობრებში

აქ უნდა აღვნიშნოთ მოკლედ საზოგადო მშვიდობისა და საზოგადოების ხსნის კომიტეტების ისტორია.

საზოგადო მშვიდობის კომიტეტს ჰქონდა უფლება დაეტუსაღებინა მოქალაქენი, რომელნიც იყვნენ საეჭვონი, როგორც რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულობაში მონაწილენი ან გამცემნი და მოღალატენი. 17 ოკტომბრიდან 1792 წლისა 9 იანვრამდის 1793 წ. ამ კომიტეტის უმეტესობას ჟირონდისტები შეადგენდენ. 9 იანვარს 1793 წ., როდესაც მისი შედგენილობის ნახევარი აირჩიეს, უმეტესობა მონტანჟარების (მთის) ხელში გადავიდა. 25 მარტს 12 წევრს მიუმატეს კიდევ 6 ახალი წევრი (მონტანჟარები). 16 ივნისს მოხდა კიდევ ხელახალი არჩევანი და კვლავ მონტანჟარებმა გაიმარჯვეს. 9 სექტემბერს წევრთა რაოდენობა 9-მდის ჩამოიყვანეს, რადგან მონტანჟარებს უნდოდათ გაეძევებიათ სამი არასასურველი წევრი. მაგრამ ვერ მოახერხეს. 13 სეკტემბრის 1793 წ. დეკრეტით უნდა განახლებულიყო ყველა კომისიის შედგენილობა (საზოგადოების ხსნის კომიტეტის შედგენილობის გარდა); რაც შეეხება საზოგადო მშვიდობის კომიტეტს, მისი შედგენილობის კანდიდატები, ე. ი. ასარჩევი წევრები, თვთონ კომიტეტს უნდა დაესახელებია. და ახალი შედგენილობა მთლად მონტანჟარული შეიქნა. 13 ოკტ. 1793 წ. (რესპუბლიკის დაწესებიდან II წლის პირველი თვის 22-დან) ხსენებულ შედგენილობას (12 წევრს) მიემატა კიდევ ოთხი და ეს შედგენილობა დარჩა უცვლელად 9 თერმიდორამდის II წლისა (26 ივლისამდის 1794 წლისა).

ამ კომიტეტის ზედამხედველობა მთელ საფრანგეთზე ვრცელდებოდა, მისი ძალა—საშინელი და საშიშარი შეიქნა, სამშილობის დაცვის წილ მან შიში გაამეფა, შეგნებული, თავდადებული მამულიშვილები ზოგი სიკვდილით დასაჯა,

ვერ აღმოაჩინა მამულის აღების მსურველი, რად არ მიმართა უფრო ფართო საზოგადოებას, თუნდაც პრესის საშვალებით? რად არ მიმართა იმ საზოგადოებას, რომელმაც იკისრა აჭარელთა მიტოვებულ მიწა-წყალის მოვლა პატრონობა? ნუ თუ ქართული საქველმოქმედო საზოგადოება ვერ შესძლებდა ამ სოფლის ქართველთა ხელში შენარჩუნებას?

ასეთი კითხვები უნდა დაებადოს ყველა იმას, ვინც ამ საქმის შესახებ დაწერილის გაცნობის დროს სამწუხარო მოვლენის ნამდვილი ვითარების გამოკვლევის სურვილი ამოძრავებს და არა სხვა რამ, ვინ იცის რამდენად უზადო თუ დაბალი გრძნობანი.

„ჩვენი მეგობრის“ რედაქცია კი დიდის კმაყოფილებით ათავსებს ბ. დათეშიძის განმარტებას. ჩვენ ვთხოვთ მკითხველს განმეორებით წაიკითხოს „ჩვენი მეგობრის“ წინასიტყვაობა ბ. დათეშიძის წერილისათვის მიძღვნილი.

„რედაქციამ თავი შეიკავა თავისი აზრი გამოეთქვა ამ საკითხის შესახებ სანამ საქმის ვითარება გამოირკვეოდაო“, სწერს „მეგობარი“. თავი შეიკავა. მაგრამ როგორ? „სამშობლოში“ დაისტამბა წერილები, დაიბეჭდა ბ. დათეშიძის თხოვნები და სხვა საბუთებიც, საზოგადოებაში ამ ამბავმა „დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია“ თვით „ჩვენი მეგობრის“ სიტყვით და ამ გაზეთს უბრალო ცნობაც კი არ მოუთავსებია—ასეთი ხმები დადის და ნეტავ რამდენათ მართალიაო. ნუ თუ ეს უნდა მიეწეროს „მეგობრის“ რედაქციის სიფრთხილეს, შიშს—იქნებ ეს ხმები მართალი არ არისო? გაზეთმა რომ ასეთი „სიფრთხილით“ იაროს, ხომ ის ვერავითარ ცნობას ვერ მოათავსებს თავის ფურცლებზედ?

რედაქციამ თავი შეიკავაო, სწერს „მეგობარი“, სანამ საქმის ვითარება გამოირკვეოდა, რამ გამოარკვია საქმის ვითარება, ბ. დათეშიძის წერილმა? რა იპოვა მასში „მეგობარმა“ გარდა იმის დასტურისა, რაც ჩვენს გაზეთში იყო აღნიშნული?

გაზეთს ერთი პწკარიც არ დაუწერია ამ საქმის შესახებ, როდესაც მთელი ქუთაისი ერთი კვირა ამაზედ ლაპარაკობს. და როდესაც გაზეთმა ხმა ამოიღო, ამ სამწუხარო საქმის შესახებ, სიტყვა მისი გამსჭვალულია კმაყოფილებით და სიამოვნებით. აბა ერთს უკმაყოფილების, ან წყრომის და დაწუნების სიტყვას თუ აღმოაჩენს ვინმე „ჩვენი მეგობრის“ მიერ რ. დათეშიძის ნაწერის განმარტება-დაფასებაში! „ჩვენი მეგობრის“ რედაქციასთან დაახლოებულ პირებს წინედაც სმენია ამ საქმის შესახებ, ერთი კვირა ამის შესახებ იწერება და საზოგადოება ლაპარაკობს, მაგრამ მეგობარი თავს იკავებს და ხმას არ იღებს. კიდევაც მიაქვთ „ჩვენს მეგობარში“ მისთანა მოაზრეებს წერილები ამ საქმის შესახებ, მაგრამ გაზეთი მათ არ უბეჭდავს ნუ თუ სიფრთხილის გამო ეს ამბავი შემცდარი არ აღმოჩნდესო?

და როდესაც მას ბ. დათეშიძე ეუბნება „წრია“ ისევ ჩემს ხელშია, ის არავისთვის არ გადამიცია, თუმცა ამის შესახებ თხოვნები კი შევიტანეო, „მეგობარს“ ეს სავსებით სჯერა, მასში ეს უკვე ექვს არ იწვევს, აქ მას სიფრთხილე ავიწყდება. „თავს აღარ იკავებს“ და ამ ამბავს „სიამოვნებით“ აღნიშნავს.

ამ რიგად, თუ „ჩვენმა მეგობარმა“ ხმა ამოიღო, არა იმისთვის, რომ ამ საქმისთვის მას მსჯავრი დაედვა, არამედ იმისთვის, რომ ბ. დათეშიძის წერილი განემარტა და ამის გამო თავისი კმაყოფილება და სიამოვნება საზოგადოებისათვისაც გაეზიარებინა.

ან იქნებ ბ. დათეშიძის საქციელი არ იძლევა საკმაო საბუთს, რომ მას საზოგადოებამ მსჯავრი დასდოს? ყოველივე ის, რაც დათეშიძის წერილში სწერია,—რომ სოფელი ჯერ მის ხელშია, რომ მას ფული არ აუღია, და სხ. სავსებით დამტკიცებულიც რომ იყოს წერილში, და არა ზეპირად მოყვანილი, ბ. დათეშიძის დანაშაული ამით ოდნავადაც არ მცირდება. რა უყოთ, რომ ჯერ კანტრაქტი არ არის სავსებით გადაცემული, ან თუ ბ. პეტროსიანცმა ჯერ ვერ მოასწრო ფულის გადახდა, ან სხვა რაიმე ფორმის შესრულება. ბ. დათეშიძემ თავის მხრით ხომ ყოველივე მოაგვარა—შეიტანა სახელმწიფო დაწესებულებაში თხოვნა ყოველივე ჩემი უფლებები ამა და ამ კაცს გადაეცითო. დაწესებულება შეეკითხა ორივე მხარეს და პასუხი მიიღო. მოხდა ტელეგრამით განკარგულება და მამული პეტროსიანცს ჩაბარდა. რასაკვირველია, შესაძლოა კაცმა პეტროსიანც ცოტა რამ მისცეს და სოფელი დააბრუნებინოს, ანუ იქნებ კიდევ რამ იურიდიული მხარეა შეუსრულებლად დარჩენილი და შესაძლოა პეტროსიანცის ჩამოშორება. ეს უბრალო შემთხვევებია (ჩვენ მით რასაკვირველია უნდა ვისარგებლოთ) და არა ბ. დათეშიძის დამსახურება. ყოველივე დასრულებული რომ იყოს, იქნებ მაშინაც არ მოუხდეს პეტროსიანცს „წრიას“ მფლობელობა. ვინ იცის რა მოხდება? განა ეს ამართლებს ბ. დათეშიძეს და „ჩვენ მეგობარს“?

ნუ თუ „ჩვენი მეგობრის“ რედაქციაში არავინ იცის, რომ დანაშაული განიზომება ადამიანის სურვილით, ბოროტი ნებით და არა მის შესრულების დროს განაცდ დაბრკოლებით. კაცს რომ რევოლვერი ესროლონ, მაგრამ ის რაიმე გარემოებამ გადაარჩინოს, ნუ თუ ამ ბოროტმოქმედების დანაშაული მით მოისპობა?

განა შეიძლება ისეთი საკითხის, რომელშიაც ჩაქსოვილია ეროვნული თავდაცვის და ეროვნული თავმოყვარეობის წმინდა გრძნობები ასე აბუჩად აგდება, გამასხარავება? ნუ თუ ამაში ხედავს თავის დანიშნულებას „ეროვნული“ გაზეთი.

განა ბ. დათეშიძის წერილის წინასიტყვაობა, „ჩვენი მეგობრის“ მიერ წამძღვარებული, უცნაურ რამეს არ წარმოადგენს პირველ სტრიქონიდან უკანასკნელამდე? საყურადღებოა ერთი წვრილმანი დიდი წვრილმანობის გამომხატველი. ბ. დათეშიძე ეკამათება გაზეთ „სამშობლოს“ სადაც რამდენიმე წერილი იყო მოთავსებული მის შესახებ. „ჩვენი მეგობარი“ კი ასე იწყებს—საზოგადოებაში დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია გაზეთ „საქართველოში“ მოთავსებულმა დეპეშამ. ეს სამ სტრიქონიანი დეპეშა „საქართველოში“ მოთავსებული იყო ერთი დღის შემდეგ რაც „სამშობლოში“ სოფ. „წრიას“ სომხისთვის გადაცემინს შესახებ ვრცელი წერილი იყო მოთავსებული. ამის შემდეგაც ამ გაზეთში ამავე ხასიათის წერილები იყო მოთავსებული, მაგრამ ამას თურმე სრულებით არავითარი მითქმა-მოთქმა (იქნებ არც ბ. დათეშიძის წერილიც?) არ გამოუწვევია. „ჩვენი მეგობარი“ გაზეთ „სამშობლოს“ განგებ არ იხსენიებს. დიდია მისი წყრომა და სასჯელი მით „სამშობლოზედ“ მოვლინებული! მაგრამ რას უწოდებს ამას „მეგობრის“ მკითხველი—წვრილმანობას და ცულლუტობას, როდესაც „ჩვენი მეგობრები“ სერიოზულ საქმეზედ მსჯელობენ, თუ დიდ ბუნებოვან მამულიშვილობას?

ცოტა რამ კერძოთ იმ წრის საყურადღებოთ, რომელსაც ბ. რ. დათეშიძე მეთაურობს. ჩვენს წერილებში ჩვენ ოდნავადაც არ დაგვიმცირებია ბ დათეშიძის მნიშვნელობა და თვისებები. არავის მის წინაშე გადამეტებულის აღელვებით და „ორბლით პირში“ ხმა არ აღუმაღლებია, როგორც ამას ფიქრობს თვით ბ. დათეშიძე. ბ. დათეშიძეს ჩვენთვის არ მოუტანია თვისი პასუხი. მაგრამ ჩვენ თვით ვბეჭდავთ მას უცვლელად. დაე საზოგადოებამ საკითხი გაეცნოს ჩვენს ნაწერებს ამ სამწუხარო საქმის შესახებ და მის პასუხს. ჩვენთვის დიდათ სასიამოვნო იქნება, თუ საზოგადოების თვალში ეს სამწუხარო საქმე ჩვენ შეცდომაღ იქმნება აღიარებული და არა იმ სინამდვილედ, რომელიც შავ ღრუბლად ევლინება ჩვენს ეროვნულს ცხოვრებას. გაზეთის პირადი თავმოყვარეობა რაა შედარებით იმ გრძნობასთან, რომელსაც უნდა განიცდიდეს ამ სამწუხარო ამბის გამო ყოველი ქართველი ბ დათეშიძეს სურს ამ საგანზედ ჩვენს გამოსვლას პოლიტიკას არ იზიარებდა

ქართული პრესა.

გ. გორდეზიანი „საქართველოს“ ფურცლებზე არკვევს რუსის საზოგადოების მოლიბერალო ნამდვილ სულისკვეთებას. რომელიც საერობო ყრილობის უმრავლესობის მიერ მიღებულ პროექტის წინააღმდეგ გალაშქრებამ გამოააშკარავა.

გ. გორდეზიანი, სხვათა შორის, სწერს: რატომ მაშინ არ ადიმაღლეს ხმა, როცა ქართველ ერს ჩამოართვეს თვისი ძირიადთა უფლებები, ან რატომ დღეს, ამ უსამართლობის წინააღმდეგ არაფერს ლაპარაკობენ, ან რატომ მაშინ არ ამხედრდა რუსეთის საზოგადოება, როცა ჩვენს ეკლესიას მოუსპეს თვითმართველობა, რომელიც ჩვენში საუკუნოებით იყო განმტკიცებული, ან რატომ დღესაც არ იცავს ამ მორწმუნე ერის უსათუოეს—სარწმუნოებრივ—გრძნობას და არ იბრძვის ამ უფლების აღსადგენად! ნეტა რა გააკეთა რუსეთის მოდიბერალო პრესამ იმისთვის, რომ ქართველ ერს მისცემოდა საშუალება კულტურულ-ეკონომიური თვითმოქმედებისა, ნეტა რატომ დღეშდის და დღესაც ხმას არ იმაღლებს, რომ ვისაც ჯერ არს იმან ხელი არ შეახოს საქართველოს მიწა-წყალს და არ დაუტოვოს იგი სხვა და სხვა გადმოსახლებულთა შორის? რადა დღეს სწუხს ჩვენი ხალხის რომელიღაც მეორეხარისხოვანობაზა და რატომ მაშინ არ ესარჩლებოდა ჩვენს ხალხს, როცა იგი რუსეთის უკიდურეს მაძარცხენეებთან ერთად დემოკრატიულ ორგანიზაციას მოითხოვდა. რატომ ასეთი ერთსულოვანი ჭანგი და წინააღმდეგი მოქმედება და პროტესტი არ გამოუცხადა იმ ბიუროკრატიული რეაქციის წინააღმდეგ, რომელმაც მთელ ერს მეორეხარისხოვანობისთვის ნატარ-ტუტა ადინა?; რატომ მაშინ არ აფრინეს კორესპონდენტები ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გამოსარკვევად და ჩვენი ხალხის ინტერესის დასაცავად?! მე მოგახსენებთ მოძრაობის ხანაზე, მოკიდებული 1904—1908 წლამდე. რა შეგვძინა თავისი გაზოგი გააძევა და ამით რეაქციას ნიადაგი მოუმზადა.

ამგვარად ერთი მხრით სახელმწიფოებრივი უფლებისა და ძალის შენაწევრება, მამულს რომ განსაცდელი თავიდან ასცილებოდა, აუცილებელი იყო, მაგრამ მეორე მხრით სახელმწიფოებრივი უფლები სავე უკიდურესობა პიროვნების დამოუკიდებლობას ვერ შეურიგდა, საზოგადოების უკეთესი ნაწილი აღხოცა და თავი სუფლებას ძირი გამოუთხარა.

კონვენტი მისი „საზოგადო მშვიდობისა“ და „საზოგადოების ხსნის კომიტეტებით“—იგივე სახელმწიფოებრივი კომუნიზმი იყო პოლიტიკაში, როგორ კომუნიზმსაც სოციალისტები ჰქადაგებენ ეკონომიკაში და, უეჭველია, რომ, თუ კი პოლიტიკური კომუნიზმი შეუძლებელ ჰყოფს პიროვნების თავისუფლებას, ეკონომიური კომუნიზმი კიდევ უფრო საშიშარი და უარესი იქნება.

როგორცა ვთქვით, საზოგადოების ხსნის კომიტეტი 6 აპრილს 1793 წ. დაწესდა და მას დაუმორჩილეს ჯერ აღმასრულებელი საბჭო (სამინისტრო) და შემდეგ 12 აღმასრულებელი კომისია (1 აპრილს 1794 წ.).

ამ კომიტეტმა დაიჭირა წინეთ არსებულის მოუწესრიგებელის საერო თავდაცვის კომიტეტის ადგილი, რადგან დაუმორჩილეს ღალატის შემდეგ აღმასრულებელი ორგანოს უკეთესი შენაწევრება და ორგანიზაცია აუცილებელი იყო.

ამ კომიტეტის პირველი წევრებიც (მათ შორის დანტონი) „მთას“ (უკიდურეს მემარცხენე პარტიას) ეკუთნოდენ, მაგრამ მის მარჯვენეს, უფრო ზომიერ ფრთას წარმოადგენდენ და არცერთი წევრი რობესპიერს არ ებორჩილებოდა პირიქით, შემდეგ ყველა მისი მტერი შეიქნა. შეიძლება ითქვას, რომ ეს დანტონის სამინისტრო იყო, რომელიც ჟირონდისტებთან, შემარიგებელ პოლიტიკას აწარმოებდა.

ამგვარად ერთი მხრით სახელმწიფოებრივი უფლებისა და ძალის შენაწევრება, მამულს რომ განსაცდელი თავიდან ასცილებოდა, აუცილებელი იყო, მაგრამ მეორე მხრით სახელმწიფოებრივი უფლები სავე უკიდურესობა პიროვნების დამოუკიდებლობას ვერ შეურიგდა, საზოგადოების უკეთესი ნაწილი აღხოცა და თავი სუფლებას ძირი გამოუთხარა.

კონვენტი მისი „საზოგადო მშვიდობისა“ და „საზოგადოების ხსნის კომიტეტებით“—იგივე სახელმწიფოებრივი კომუნიზმი იყო პოლიტიკაში, როგორ კომუნიზმსაც სოციალისტები ჰქადაგებენ ეკონომიკაში და, უეჭველია, რომ, თუ კი პოლიტიკური კომუნიზმი შეუძლებელ ჰყოფს პიროვნების თავისუფლებას, ეკონომიური კომუნიზმი კიდევ უფრო საშიშარი და უარესი იქნება.

როგორცა ვთქვით, საზოგადოების ხსნის კომიტეტი 6 აპრილს 1793 წ. დაწესდა და მას დაუმორჩილეს ჯერ აღმასრულებელი საბჭო (სამინისტრო) და შემდეგ 12 აღმასრულებელი კომისია (1 აპრილს 1794 წ.).

ამ კომიტეტმა დაიჭირა წინეთ არსებულის მოუწესრიგებელის საერო თავდაცვის კომიტეტის ადგილი, რადგან დაუმორჩილეს ღალატის შემდეგ აღმასრულებელი ორგანოს უკეთესი შენაწევრება და ორგანიზაცია აუცილებელი იყო.

ამ კომიტეტის პირველი წევრებიც (მათ შორის დანტონი) „მთას“ (უკიდურეს მემარცხენე პარტიას) ეკუთნოდენ, მაგრამ მის მარჯვენეს, უფრო ზომიერ ფრთას წარმოადგენდენ და არცერთი წევრი რობესპიერს არ ებორჩილებოდა პირიქით, შემდეგ ყველა მისი მტერი შეიქნა. შეიძლება ითქვას, რომ ეს დანტონის სამინისტრო იყო, რომელიც ჟირონდისტებთან, შემარიგებელ პოლიტიკას აწარ

კონვენტმა ეს კომიტეტი მხოლოდ ერთი თვით აირჩია, მაგრამ შენაწევრებული, ენერგიული მართებლობა იმდენად აუცილებელი იყო, რომ მის ერთსადაიმავე შედგენილობას ყოველ თვეს ირჩევდა, ვიდრე დანტონი არ გადააყენეს (10 ივლ 1793 წ.).

თუმც ამ კომიტეტს ეგრეთწოდებული აღმასრულებელი კომიტეტი (სამინისტრო) თავიდანვე ემორჩილებოდა, მაგრამ 15 ივნისიდან მთელი აღმასრულებელი უფლება მის ხელში გადავიდა: ის უგზავნის ბძანებებს სამოქალაქოსა და სამხედრო მოხელეებს, აგზავნის დეპარტამენტებში საიდუმლო მოხელეებს საზოგადო პოლიტიკური მიმდინარეობის შესატყობად და ეკონომიური მდგომარეობის გამოსაძიებლად, აგზავნის კომისარებს (მოციქულებს) ჯარებთან, თვალი უჭირავს სხვადასხვა მინდობილობით გაგზავნილ დეპუტატებზე, აქვს მიწერ-მოწერა მათთან. აწარმოებს საგარეო პოლიტიკასა და სხ. ერთი სიტყვით 6 აპრილიდან 10 ივლისამდის 1793 წ საზოგადოების ხსნის კომიტეტი ფაქტიურად—ნამდვილი პასუხისმგებელი სამინისტრო იყო.

და, როგორცა ვთქვით, პირველი კომიტეტი „საზოგადოების ხსნისა“ იყო დანტონის სამინისტრო

10 ივლისს 1793 წ., რადგან ვითომ კომიტეტმა აჯანყებული ფედერალისტების წინააღმდეგ ენერგიული ღონისძიება არ იხმარა, აჯანყებული ვანდეელები ვერ დაამარცხა და საგარეო პოლიტიკაშიაც ხელი შეეშალა, კონვენტმა მას უნდობლობა გამოუცხადა და ახალი კომიტეტი აირჩია (16 წევრის მაგიერი 9), რომლიდანაც დანტონი გამორიცხა, თუმცა ძველი შედგენილობის დიდი ნაწილი კვლავ დასტოვა. დანტონის გამორიცხვის ნამდვილი მიზეზი კი ის იყო, რომ კონვენტი, რომელსაც 2 ივნისს ძალა დაატანეს და 29 ჟირონდისტი სამართალში მიაცემინეს, დანტონის შემარიგებელ

და ახალი კომიტეტი 9 თერმიდორამდის II წლისა (26 ივლისამდის 1794 წ.) ე. ი. რობესპიერის დაცემამდის, რობესპიერის სამინისტროს წარმოადგენდა.

ამ კომიტეტის უფლება იმ წამსვე გაძლიერდა. 28 ივლისს 1793 წ მან მოიპოვა საეკვო მოქალაქეთა დატუსაღების უფლება. 10 ოკტ.1793 წ.დეკრეტით აღმასრულებელ საბჭოს წაართვეს და კომიტეტს გადასცეს სარდლების დანიშვნის უფლება, შემდეგ მასვე მიანიჭეს კონვენტის კომისარებზე ზედამხედველობა, მოხელეთა გადაყენების უფლება, საგარეო საქმეთა მოწესრიგების არა მხოლოდ ფაქტიური, არამედ იურიდიული მხარეც, საპასუხისმგებლო თანამდებობის მოხელეთა დანიშვნა და სხ ერთი სიტყვით, კომიტეტი სადიქტატორო უფლებით იქმნა აღჭურვილი

მხოლოდ საპოლიციოსა და საპროკურორო საქმეებში საზოგადო მშვიდობის კომიტეტიც იზიარებდა მასთან ერთად უფლებას.

დასასრულ 12 ჟერმინალს II წ, ე. ი. 1 აპრილს 1794 წ, მთლად გააუქმეს აღმასრულებელი საბჭო და მის ნაცვლად 12 აღმასრულებელი კომისია დააწესეს, რომელნიც საზოგადოებას ხსნის კომიტეტის უბრალო კანცელარიებს წარმოადგენდენ.

დიდსა და აუცილებეს რევოლუციურ ძალას წარმოადგენდენ აგრეთვე საკომისიოდ გაგზავნილი დეპუტატები, რომელთაც უკვე საერო დამწესებული კრება აბარებდა სხვადასხვა მინდობილობას.

კონვენტმა დასტოვა თავის ადგილებზე დამწესებელი კრების მიერ გაგზავნილი დეპუტატები, დააკანონა ამგვარი გაგზავნა და 9 მარტს 1793 წ. დაადგინა, გაეგზავნა თვითეულ დეპარტამენტში ორ-ორი დეპუტატი 300 000 ჯარისკაცის შესაკრებად, საეკვო მოხელეთა გადასაყენებლად და დასაპატიმრებლად, რევიზიის მოსახდენად, ეკონომიური მდგომარეობის გამოსაძიებლად და სხ. 30 აპრილის დეკრეტით დეპუტატების გაგზავნამ წესიერი ორგანიზაციის, შენაწევრების, სახე მიიღო.

ამგვარი ცენტრალიზაცია მმართველობისა გამოიწვია სხვათა შორის დიუმერიეს ჯარის დამარცხებამ, მაშასადამე, სამხედრო საჭიროებამ. მაგრამ ცენტრალიზაციის დაწესება არც ასე ადვილი იყო.

2 ივნისს 1793 წ. რომ პარიზის კომუნამ კონვენტს ძალა დაატანა და ჟირონდისტები გააცემინა, ბევრი დეპარტამენტის მართებლობათ (რომელნიც ხალხის მიერ არჩეული იყვნენ) უარჰყვეს კონვენტის მიერ გაგზავნილი დეპუტატების ბატონობა და მოაწყვეს დიდი აჯანყება, რომელსაც ეწოდება ფედერალისტური ან ჟირონდისტული აჯანყება.

როდესაც ეს აჯანყება ჩააქრეს, კონვენტმა დანიშნა უფლებამოსილი დეპუტატები თითქმის ყველა დეპარტამენტში (აგვისტოსა და სეპტემბერში 1793 წლისა). ცოტა ხნის შემდეგ კი დაინიშნა მისიები პროვინციებში რევოლუციურ მართებლობათა დასაწესებლად და საეკვო მოხელეთა გადასაყენებლად.

კონვენტის შეკრების დღიდანვე მის მიერ ჯარებში გაგზავნილ დეპუტატებს ჰქონდათ უფლება სარდლების გადაყენებისა და დანიშვნისა და ცენტრალური მთავრობის სახელით განკარგულებათა მოხდენისა.

ამგვარმა შენაწევრებულმა მოქმედებამ ხელი შეუწყო რესპუბლიკის ჯარების გამარჯვებასა და ფედერალისტებისა და ვანდეის აჯანყებათა ჩაქრობას.

1793 წლის მარტიდან 1794 წლის მაისამდის კონვენტის წარმომადგენელნი დეპარტამენტებში პრეფექტების (გუბერნატორების) როლს ასრულებდენ და მათ ემორჩილებოდენ სადეპარტამენტო მმართებლობანი განსაკუთრებით ფედერალისტების აჯანყების დროს და შემდეგ. 17 ივლისს 1793 წ. კონვენტმა დაადგინა, ხსენებულ წარმომადგენელთა განკარგულებათ დრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

დღეს, დილის 11 საათზე, სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში დანიშნულია საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება კრება განიხილავს შემდეგ საკითხებს: 1914—15 წლის ანგარიშს; სარევიზიო კომისიის მოხსენებას და აირჩევს გამგეობის წევრებს

✦ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებ ღარიბ სტუდენტთა. დაიხმარე საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელიც დანიშნული იყო კვირას, 5 ივნისს და წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, არ შესდგა ხვალ 13 ივნ, საღამოს 7 ს, ქუთაისის ქალაქის გამგეობის შენობაში. რადგანაც ბევრი საინტერესო საკითხებია გასარჩევი. სასურველია, კრებაზე დასწრება როგორც საზოგადოების წევრთა უმრავლესობისა, აგრეთვე ქუთაისში მყოფ სტუდენტებისა.

✦ ქუთაისის გუბერნატორს გრაფ გუდოვიჩს ხვალისთვის მოელიან.

✦ ქუთ გუბერნატორმა 29 მუხ. საგალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ხუთი თუმნით დააჯარიმა ქ ფოთის მცხოვრები ლევანტი რუხაძე.

✦ დღეს, საღამოს 7 საათზე შავიქვის საბჭოს დარბაზში დანიშნულია საზ. „სინათლის„ საზოგადო კრება.

✦ დღეს, საღამოს 5 საათზე, საფიჩხიის სამრეველო სკოლის დარბაზში, დანიშნულია დავით კლდიაშვილის სახელობის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოს წევრთა საზოგადო კრება. კრება [illegible] ნება რამდენი წევრიც უნდა დიესწროს, რადგანაც მეორეთაა დანიშნული.

✦ გუშინ ქუთაისის ბაზარზე პარკის ფასი 28—30 მანეთამდი ავიდა. მოსკოვიდან ჩამოვიდა პარკის მყიდველი ნირნოვი.

✦ სიმიწად-მოქმედო სამინისტრომ კავკასიის სამოსწავლო ოლქზე გადადგა 100 ათასი მანეთი, რომ ამით ივლისში მოაწყონ პირველდაწყებით მასწავლებელთათვის ბორჯომსა და ვლადიკავკაზში სასოფლო სამეურნეო სურსები. კურსები გაგრძელდება ექვს კვირას. თითო კურსზე 180 მსმენელი იქნება ჩაწერილი

ქართული პრესა.

გ. გორდეზიანი „საქართველოს“ ფურცლებზე არკვევს რუსის საზოგადოების მოლიბერალო ნამდვილ სულისკვეთებას. რომელიც საერობო ყრილობის უმრავლესობის მიერ მიღებულ პროექტის წინააღმდეგ გალაშქრებამ გამოააშკარავა.

გ. გორდეზიანი, სხვათა შორის, სწერს: რატომ მაშინ არ ადიმაღლეს ხმა, როცა ქართველ ერს ჩამოართვეს თვისი ძირიადთა უფლებები, ან რატომ დღეს, ამ უსამართლობის წინააღმდეგ არაფერს ლაპარაკობენ, ან რატომ მაშინ არ ამხედრდა რუსეთის საზოგადოება, როცა ჩვენს ეკლესიას მოუსპეს თვითმართველობა, რომელიც ჩვენში საუკუნოებით იყო განმტკიცებული, ან რატომ დღესაც არ იცავს ამ მორწმუნე ერის უსათუოეს—სარწმუნოებრივ—გრძნობას და არ იბრძვის ამ უფლების აღსადგენად! ნეტა რა გააკეთა რუსეთის მოდიბერალო პრესამ იმისთვის, რომ ქართველ ერს მისცემოდა საშუალება კულტურულ-ეკონომიური თვითმოქმედებისა, ნეტა რატომ დღეშდის და დღესაც ხმას არ იმაღლებს, რომ ვისაც ჯერ არს იმან ხელი არ შეახოს საქართველოს მიწა-წყალს და არ დაუტოვოს იგი სხვა და სხვა გადმოსახლებულთა შორის? რადა დღეს სწუხს ჩვენი ხალხის რომელიღაც მეორეხარისხოვანობაზა და რატომ მაშინ არ ესარჩლებოდა ჩვენს ხალხს, როცა იგი რუსეთის უკიდურეს მაძარცხენეებთან ერთად დემოკრატიულ ორგანიზაციას მოითხოვდა. რატომ ასეთი ერთსულოვანი ჭანგი და წინააღმდეგი მოქმედება და პროტესტი არ გამოუცხადა იმ ბიუროკრატიული რეაქციის წინააღმდეგ, რომელმაც მთელ ერს მეორეხარისხოვანობისთვის ნატარ-ტუტა ადინა?; რატომ მაშინ არ აფრინეს კორესპონდენტები ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის გამოსარკვევად და ჩვენი ხალხის ინტერესის დასაცავად?! მე მოგახსენებთ მოძრაობის ხანაზე, მოკიდებული 1904—1908 წლამდე. რა შეგვძინა თავისი გაენითი კანონების მნიშვნელობა აქვსთო, 16 აგვისტ. იმავე წლისა კი დაადგინა: ის მმართველნი, რომელნიც კონვენტის წარმომადგენელთა განკარგულებათ წინააღუდგებიან, 9 წლის კატორღით დაისჯებიანო.

ფედერალისტური აჯანყების ჩაქრობის შემდეგ კონვენტის ემისარების მიზანი იყო სადეპარტამენტო მმართებლობათა საეკვო პირებისაგან განწმენდა. აი როგორ ხდებოდა ეს განწმენდა. 25 ოკტ 1793 წ. კონვენტის წევრი გრეგუარი სწერს ლორიანიდან შემდეგ მოხსენებას: ამ კომუნის გენერალური საბჭო დაასმინეს, ჟირონდისტებთან ჰქონდა კავშირი. მე შევკრიბე ადგილობრივი სახალხო კლუბი, ჩამოვართვი საჯაროდ ჩვენები საბჭოს წევრებს, გადავაყენე და მეორე დღესვე მოვიწვიე პირველი საფეხურის საარჩევნო კრებები, რომლებზედაც ნარტო „სანკიულოტები“ (პროლეტარები) გამოცხადდენ და საქალაქო თვთმართველობის (მუნიციპალიტეტის წევრებად) მარტო სანკიულოტები აირჩიესო. ამგვარსავე მოხსენებას აგზავნის ბლუადან გემბერტო 31 ოკტ. 1793 წ.

შემდეგ კონვენტის დეკრეტის ძალით საყოველთაო განწმენდა მოახდინეს, ე. ი. ყველა სადეპარტამენტო მოხელე გადაყენეს და ახლები დანიშნეს ჩვეულებრივ ემისარები წაუკითხავდენ საარჩევნო კრებას მოხელეთა სიას და, თუ მათ წინააღმდეგ არავინ არაფერს იტყოდა, მოხელეები თავის ადგილებზე რჩებოდენ, თუ კი ვინმე მათ წინააღმდეგ იტყოდა რასმე, ემისარი მის მაგიერად თავის კანდიდატს—ჩვეულებრივ ადგილობრივი სახალხო კლუბის მიერ ნაჩვენებს—ნიშნავდა. ეს, რასაკვირველია, თვთმართველობის პრინციპის უარყოფა იყო, მაგრამ, მეორე მხრით, ხალხს ხსენებული ემისარები უყვარდა, რადგან ისინი—ადგილობრივი რევოლუციონერების უკიდურეს ძალმომრეობას ებრძოდენ.

ვასილ წერეთელი.

(დასასრული ხვალ).

მოსარჩლებით და დახმარებით რუსეთის საზოგადოების ლიბერალურმა ნაწილმა და პრესამ ამის მაგვარად, რაც ჩვენმა იდეურად მომზადებულმა ინტელიგენტურმა ახალგაზდობამ შესწირა რუსეთის თავისუფლებას? ჩვენი ახალგაზდობის განა ცოტა სისხლი და ძვალია რუსეთის ციხეებში და ციმბირის მიურუებულ ადგილებში? განა ესენი არ იბრძოდნენ რუსეთის თავისუფლებისათვის? რა გაგვიკეთა სამაგიერო რუსეთის მოლიბერალო პრესამ? აბა ერთი იოტის სიდარალი რამე შეგვმატოდა რუსული მოლიბერალო პრესის წყალობით! თუნდაც იმავე ერობის საკითხი ავიღოთ ან ნათვიც მსჯულთა ინსტიტუტის შემოღების საქმე რა გაგვიკეთა დღემდე ამ მხარეს? როდის გასწია მან კომპანია ამ საკითხის შესახებ? როდის წამოაყენა და დაიცვა ეს საკითხი თუ საამისოდ მას ძალა არ შესწევდა? როგორ შეხვდა რუსეთის მოლიბერალო პრესა და საზოგადოება ჩვენი საზოგადოების ბრძოლას ამ 30 – 40 წლის განმავლობაში ამ რეფორმების შემოსაღებად ჩვენში ამ ლიბერალებმა როდის გამოიდეს თავი ჩვენთვის რუსეთის ლიბერალურმა პრესა ვერ დაგვაფასებინა ჩვენთვის თავის გამოდებას და ბრძოლას ჩვენდა სასარგებლოდ„ ჩვენ კი დიდი დავწდი მიგვიძღვის რუსეთის თავისუფლების მოპოების ისტორიაში. მაშ რით უნდა ავხსნათ დღეს მოლიბერალო რუსეთის შეშფოთება! პოლიტიკით, პოლიტიკით და კიდევ პოლიტიკით! დიდ პოლიტიკის ბრალია რომ ჩვენი ხალხი შიმშილს განიცდის და რუსეთის არც საზოგადოება იტკივებს თავს, არც პრესა და არც მთავრობა, მაშინ, როდესაც უცხო გამოქცეულებს ევედა თავს ევლება, პოლიტიკის ბრალია ისიც, რომ გავერანებულ გადამწვარ გაოხრებულ ჯარის მცხოვრებლებისთვის არც ქონებრივი დახმარება გაიუტეს და არც სამართალი. პირიქით პროფოკაციის მაგვარსაც კი ეწევიან, რადგან ორიენტაციას გვწამებენ, ე. ი. თითქოს ჭკა, მაკათო—გაიძახიან. დიახ პოლიტიკის მიზეზია, რომ დღეს მაგ სომხებს თავზე ხელს უსოგენ და მათ ინტერესების დაცვა გამტკიცებას მოითხოვენ, ხოლო ჩვენზე კი მარტო ხელებს იწმენდენ. პოლიტიკით აიხსნება ის, რომ ევედა ნომერში საჭიროდ რიცხავენ რამე სოქვან კარგი სომხებზე, რომ სხვა საზელმწიფოებსაც და სომხებსაც ესიამოვნონ.

დიად, დღეს სომხები მათთვის საჭირო ხალხია და უნდა მათ ანგარიში გაუწიონ. ჩვენ ვითომდა საჭირო არ ვეთო. პოლიტიკაა, რომ სომხებს ევედაფერში ესარჩლებიან, ხოლო ერობის საკითხში თუ რუსეთის მოლიბერალო პრესას სხვა რამ დაბალი ხარისხის შიზანი არა აქვს, იმას რომ ჩვენი ხალხის ტკივილები ოდნავადაც არ აწუხებთ და არ აწვრინებს, ეს დღესავით ნათელია. როგორ, განა რუსეთის მოლიბერალ საზოგადოებამ და პრესამ არ იცის, რომ ათასი ოთხსართულიანი ფორმული წამოგვეენებია „საეოვედოო ფარული, პირდაპირი და თანასწორი“ და სხვა რამ, ცარიელზედ დაგვსვამდენ? განა მან არ იცის, რუსეთის მოლიბერალ პრესამ, რომ ჩვენ ვერასოდეს ვერ მივიღებთ რუსეთისაზე უმჯობეს ერობას? შემარცხენეთა უკიდურესი დებულებანი, რომ წამოგვეენებია, განა ეს პირდაპირ ერობის დასამარება არ იქნებოდა?! მაგრამ რუსეთის მოლიბერალ პრესას რა ენადვლება?

რა ენადვლება და ის, თუ როგორ გადაატაროს ქართველების ზურგზე იმპერიალისტური გზა ხმელთა შუა ზღვის ნავსადგურისკენ, დავუმატებთ ჩვენ.

ცოტა რამ ილორის ეკლესიაზე.

ხმა ისმის ილორის წმიდა გიორგის ეკლესიის რუსულ დედათა მონასტრად გადაკეთებაზე. თუ ფართო საზოგადოება თავის აზრს დროზე არ გამოსთქვამს ამის შესახებ, შესაძლებელია ეს ხმა ფაკტად იქცეს. სოხუმის აწინდელი ეპისკოპოსი დიდად დაუინტერესებია ამ საქმეს და სადაც ჯერ არს ენერგიულ შუამდგომლობას ეწევა, რაც შეიძლება მალე, ხსენებული ეკლესია რუსულ დედათა მონასტრად გადაკეთდეს.

ილორის მონასტრად გადაკეთების შუამდგომლობა ამ სამი წლის წინედ აღიძრა, მაგრამ ადგილობრივი მღვდლების მეცადინეობით უმაღლესმა მთავრობამ შეაჩერა იგი საქმის რიგიანად გამოკვლევამდე.

რასაკვირველია, ის პირები, ვინც ამ შუამდგომლობის მიზეზნი იყვნენ, სწვდენ ერთს ადგილობრივ მღვდელთაგანს მ. კ. მ—ძეს და მოინდომეს მისი აქედან მოშორება, როგორც ისეთი პირის, რომელიც მათ განზრახვის განხორციელებას წინ ეღობებოდა. მ. მ—ძე ადვილად არ დანებდა და ამის შემდეგ საკითხი ილორის იკლესიის მონასტრად გადაკეთებისა თითქმის დაუკავშირდა მ. მ—ძის აგდილიდან გადაყენების საკითხს, რომელიც ჯერ კიდევ გადაუჭრელია.*) მ. მ—ძის მტრები უთუოდ დარწმუნებული არიან, რომ, თუ რგი თავიდან მოიცალეს, მერმე ილორს არავინ გამოექომაგება.

რაზე ამყარებენ ისინი ამ იმედს? უთუოდ ჩვენს უვიცობაზე, ან დაუდევრობაზე ანა და ორივეზე ერთად ეს ასე რომ არ იყოს, კინ გაბედავდა ილორის რუსულ დედათა მონასტრად გადაკეთების საკითხის დასმასაც კი!

მე მინდა გავუზიარო მკითხველებს ის შთაბეჭდილება, რომელიც დასტოვა ილორმა ჩემზე სულ სამი ოთხი საათით ჩემი იქ ყოფნის დროს, რადგანაც ასე ნაჩქარევად ნახული ოდნავ მაინც ხდის ფარდას ილორის სიდიადეს და მის უალრეს მნიშვნელობას. მე ისიც მაინტერესებს, რომ იქნება ამ მოკლე წერილმა ამოაღებიოს ხმა იმათ, ვინც უფრო დაწვრილებით იცნობს ილორის ეკლესიას და გააცნოს იგი ჩვენს ფართო საზოგადოებას. გარწმუნებთ, რომ ილორი ღირსია ამისა.

ილორის წმიდა გიორგის ეკლესია იმყოფება სამურძაყანოს განაპირა სოფელ ილორში მშვენიერ ვაკეზე, მდ. ღალიძგას მარცხნივ, ზღვის სიახლოვეს და ეკუთნის სოხუმის ეპარქიას.

ილორი შედარებით პატარა ეკლესიაა, უგუმბათო: ოთხკუთხედის სახისა გარედან, შიგნით კი მომრგვალო, საკურთხევლის ნაწილში, ეკლესიის დასავლეთისა და სამხრეთის კარებს წინ სტოა აქვთ მიდგმული, ჩრდილოეთის მხრით კარი არ ჰქონია ეკლესიას თავიდან, მხოლოდ შემდეგ გამოუჭრიათ. შიგნით ეკლესიის კედლები გამშვენებულია ახალ დროის მხატვრობით და ყველა მხატვრობას ქართული წარწერა აქვს.

ეკლესიის ეზოს გარს უვლის მაღალი ზღუდე თაღიანი კარი-ბჭით, რომელზედაც სამრეკლოა გაშენებული.

მაგრამ, რაც ერთობ ძვირფასი და საინტერესოა ილორში, ეს არის ძველთა ძველი ეკლესიის სამკაული, რომელსაც შეადგენენ აუარება ოქროსა და ვერცხლის ხატები, ჯვრები, სამოსელი და სხვა საეკლესიო ნივთები, თვალ მარგალიტით შემკული, თაოქმის ყველა ეს ნივთი დაფარულია იმ დროინდელი ფრიად საინტერესო წარწერებით.

აქ ინახება წმიდა გიორგის საკვირველ მოქმედი ხატი მოჭედილი დავით ნარინის რუსუდან მეფის ძის ბრძანებით (მე 13 საუკ.), რასაც ნათლად მოწმობს მისი ზედ წარწერა: „წმინდაო გიორგი ილორისაო, ადიდენ და ასუფევენ ორთავე ქვეყანასა სუფევითა ძლიერი და უძლეველი, ღვთივ გვირგვინოსანი მეფეთა მეფე და ვით ძე რუსუდანისა, რომლისა ბრძანებითა მოიჭედა ხატი ესე ილორისა მთავარ-მოწმისა“.

არა ნაკლები საინტერესოა, მე მგონია მეტიც, მეორე ნაშთი, ოქროს ბარ-ბარძიმის ზევითა ნაწილი შემდეგი შესანიშნავი ზედ წარწერით: „წმინდაო ღვთის მშობელო მეოხ ეყავენ წინაშე ძისა შენისა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და დედასა მათსა გურანდუხტ დედოფალსა, ამის ბარძიმის შემწირველთა და ამის საკურთხეველის შემამკობელთა და ამის წმინდის საყდრის აღმშენებელთა“. ცხადია, რომ აქ ლაპარაკია საქართველოს ერთობის შემქმნელ „დიდ მეფე ბაგრატ“ მე-3 ზე (მეფობდა 980 წლ. 1014 წლამდე) და მის მიერ აშენებულ ბედიის ვლაქერნის ღვთის მშობლის საყდარზე. თუ რამდენად დაინტერესებულ იყო ბრწყინვალე გვირგვინოსანი ბედიის საყდრის გამშვენებაში, ამას მოწმობს ჩვენი მატიანის შემდეგი სიტყვები: „ხოლო უკეთუ ვისმე ენებოს განცდად და გულისხმის ყოფად სიმაღლისათვის და დიდებისა მეფობისა ჩისისა (ბაგრატისი), პირველად განიცადოს სამკაული ბედიის ეკლესიისა და მისგან გულის ხმა ჰყოს“. . (ქ. ცხ. გვ 307, ზაქ ჭიჭინაძის გამოც.).

ამავე ბედიას ახსენებს ბარძიმის ფეხი ვერცხლისა შემდეგი წარწერით: „ყ-დ წმინდაო დედოფალო ვლაქერნის ღვთისმშობელო! შემიწყალე მე ბედიელ მიტროპოლიტი გერმანე ჩხეტიძე, რომელი ღირს ვიქმენ კადრებად შემკობად ფეხსა წმინდასა ამის ბარძიმისა, რათა მეოხ და მფარველ შექმნეთ წინაშე ძისა შენისა დღესა მას განკითხვისა, ამინ“.

საყურადღებოა ხის დიდი ჯვარი ვერცლით გადაკრული და ოქროთი დაფერილი ჯვარზედ ამოჩუქურთმებულია და გამოხატულია სხვა და სხვა სურათი წმ. გიორგის ცხოვრებიდან. აქ ერთ ადგილას წარმოდგენილია ხელებ აპყრობით დაჩოქებული მლოცველი „დადი-გურელი შმდეე“. ე. ი. დადიან გურიელი შამანდავლე. ესევე შამანდავლე დახატულია ძირს ჯვრის ქვედა ნაწილზე, წვერ ულვაშიანი, სკუფიის მაგვარი ქუდით, უწერია: „დადიანი გურიელი შამანდავლეს შეუნდოს ღმერთმან და თანამეცხედრესა მისსა დედუფალს ანას შეუნდვენ ღმერთმან და ძენი მათნი აღზარდენ“. ეს არის ოდიშის მთავარი შამანდავლე 1, რომელიც მატიანის ცნობით მთავრობდა 1470 წ. 1474 წლამდე ამ წარწერაში აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შამანდავლე იწოდება დადიან გურიელად. სჩანს, ის ოდიშის გარდა გურიის მთავარიცა ყოფილა.**)

არის ერთი ხატი ოდიშის მთავრის ლევან პირველის დროისა (1532 1572 წ.), სადაც ლევანი იხსენიება ერისთავთა ერისთავად და მანდატორთ უხუცესად. ეს ხატი შეუმკია ბედიის მთავარ ეპისკოპოზს ანტონი ჟვანიძეს, იმ ანტონი ჟვანიძეს, რომელსაც აუშენებია ბედიის მონასტრის შესანიშნავი სატრაპეზო პალატი

ძლიერ ბევრია სამეგრელოს მთავრის დიდი ლევან 2 დროს მოქედილი ხატები ისტორიული ზედ-წარწერებითა ბევრი წარწერებია საეკლესიო სამოსლებზე, რომელთა გარჩევა ვერ მოვახერხე, ერთობ მოკლე დროს მქონებელმა და ამისთანაების კითხვაში იმ დროს არა ჯეროვანად დახელოვნებულმა.

წარწერებია ეკლესიის აღმოსავლეთის კედელზედაც, მაგრამ, მიუხედავად ბევრი ცდისა, ვერ გავარჩიე.

აი ათასჯერ შემოკლებით ის, რასაც ჩვენ ვვეუბნება ილორი ჩვენი დიდი ხნის წარსულზე.

ილორს ერთობ გრძელი ისტორიული წარსული აქვს, რომლის დასაწყისიც ჭწარმართობის დროშივე უნდა ვეძიოთ. ამას ამტკიცებს, როგორც ეკლესიის გარეგანი სახე, ისე ის გარემოება, რომ ილორი ძველადანვე, უხსოვარი დროიდან, უპირველესი სავაჭრო ადგილი ყოფილა. ქრისტიანობის დროს, ეტყობა, მას მნიშვნელობა არ დაჰკარგვია და, მგონი, კიდეც შეჰმატებია.

ლასვინ.

(შემდეგი იქნება).

რუსეთი.

სამხედრო ექიმ კოსტავას, რომელსაც პეტოგრადის სამხედრო სასამართლომ, ბროდსკაიას მოკვლის გამო, სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, უმაღლესად ნება მიეცა საქმე სენატში გაასაჩივროს.

—

მართველ წრეებში დიდი მუშაობაა იხილვენ საეკლესიო საკითხებს და, სხვა თაშორის, ადგენენ კანონპროექტს, რომლის ძალითაც რუსეთში უნდა დაარსდეს დამოუკიდებელი სამინისტრო იუსტიციისა.

—

ქ კიევსა და ნიჟნი-ნოვგოროდში შაქარი სრულებით არ ყოფილა ამის გამო ადგილობრივმა გუბერნატორმა თათბირი გამართა. თათბირმა დაადგინა გაჩხრიკონ მოვაჭრეები, რადგანაც ეჭვი აქვთ შაქარი გადაფალული იქნებაო.

—

„რუსკ ვედ“ გადმოცემით, მოსკოვის უნივერსიტეტის სამათემათიკო ფაკულტეტს შუამდგომლობა აღუძრავს, ამ ფაკულტეტზე დღეიდან ქალების მიღების შესახებ. უნივერსიტეტის საბჭო ამ საკითხს ამ მოკლე ხანში განიხილავს.

—

*) ეს უკვე დაწერილი მქონდა, როცა, გავიგე, რომ კ. მ—ძე უკვე გადაუყვანიათ.

ლ. ვ.

**) საგულისხმოა ეს ცნობა იმიტომ, რომ ჩვენი მატიანე, მოგვითხრობს რა დასავლეთ საქართველოს ერთ—სამეფოს დაშლას კონსტანტინე მეფის დროს მე 14 საუკუნის პირველ მეოთხედში, ჩამოთვლის საერისთოებს ცალ-ცალკე ყველ ს: აფხაზეთისა, ოდიშისა, გურიისა, სვანეთისა, მაგრამ აქედან დაწყებული არ ასახელებს რც ერთს გურიის მთავარს, როდესაც რომ ხშირად იხსენიებს „დადიან-გურიელს“ და ყოველთვის ასახელებს დადიანს. გურიის მთავარი დასახელებულია მხოლოდ მე-15-ს უკანასკნელ მეოთხედში. ეს არის კახაბერი გურიელი (1483 წ.) ,ქედან დაწყებული გურიელები ყველა დასახელებულია.

გარეშე საქმეთა მინისტრს საზონოვს შვეიცარიასთან მოლაპარაკება გაუმართავს, რათა შვეიცარიის მთავრობამ რუსეთს გამოუგზავნოს პროფესორი მერეჟკოვსკი.

— —

მოსკოვში სათავად-აზნაურო კრებაზე მონაწილეობას მიიღებენ: ნ. მაკლაკოვი, რუხლოვი და შჩეგლოვიტოვი. ამ უკანასკნელს ყრილობის თავჯდომარედ ასახელებენ.

— —

მიწადმოქმედების სამინისტროს გადაუწყვეტია სააგრონომო კურსები მოაწყოს ორივე სქესისათვის. კურსებზე მიიღებენ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს.

სახელმწიფო საბჭოს წევრებმა საბჭოში საკითხი აღძრეს, რომ დაარსებულ იქნას განსაკუთრებული „სეკრეტარიატი“ სამოსწავლო საქმის თვალყურის სადევნებლათ

— —

ამ ახლო მომავალში მიწადმოქმედების მინისტრი ნაუმოვი სახელმწიფო საბჭოში განსაკუთრებულ მოხსენებას წაიკითხავს.

— —

სახელმწიფო საბჭოს კომისიამ განიხილა სამხედრო ცენზურის საკითხი კომისიისაგან მიღებული კანონპროექტი ამ დღეებში გამოქვეყნდება.

— —

4 ივნისს პეტროგრადში დ კებეკოს იუბილე გადაუხადეს. კებეკო 50 წელიწადია, რაც საიმპერატორო ბიბლიოთეკის დირექტორად და სახელმწიფო საბჭოს წევრად ითვლება

— —

უცხოეთი.

გერმანიის რეიხსტაგის ლიბერალური პარტიის დეპუტატმა გეიპტინმა სამხედრო ბიუჯეტის შესახებ ილაპარაკა. გეიპტინმა აღნიშნა: როგორის თვალითაც უნდა ვუყურებდეთ ომს, ჩვენ მოვალენი ვართ იგი ბოლომდის მივიყვანოთ, ამიტომ ყოველ სამხედრო ბიუჯეტს მხარი უნდა დავუჭიროთო.

—

საფრანგეთში წელს მოსავალი ნაკლები ყოფილა.

— —

საფრანგეთს ომში 20,000 მასწავლებლიდან 15000 დაკარგვია.

—

საფრანგეთში ხელოვნების სკოლამ ომში დაჰკარგა 231 საუკეთესო მოწაფე.

— —

ბავარიის მეფემ ლუიტპოლდ-ბავარიელ-ბურბონმა ბავარიის ჩაგონებით, ლეოს შშობელი ბავარიის მფარველად აღიარა და ლეოს შშობლის სადღესასწაულო უქმეებიც შეიოიღეს.

— —

გაზეთ „ტან“-ში დაბეჭდილია წერილი ვერდენის ოპერაციის შესახებ გერმანელების განმარტების გამო. გერმანელები ამბობდენ: „ჩვენი მიზანია ფრანგების სარეზერვო“ კორპუსები სამუდამოთ მოვსპოთო.

შენიშვნა ბ. „ორბს“.

მაქვს პატივი გაუწყოთ ბ. „ორბო“, რომ, სიზოგადოთ, ჩემს „რესტორანში“ არასდროს არავითარ ჯამ-ჭურჭლის მტვრევას არ ჰქონია ადგილი, და ძლიერ მოგებს, თუ რათ დაგჭირდათ ჩემი „რესტორანის“ ხელის წამოკვრა თქვენს წერილში.

პატივისცემით ზიტო დევდარიანი.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

გაზეთ „მეგობრის“ 99 ნომერში და „სამშობლოს“ 298 ნომერში მე მქონდა წამოყენებული სომსონ გიორგის ძის ბოკერიას წინააღმდეგ ბრალდებები შესახებ გრიგოლ ბოკერიას ობლების ინტერესების დარღვევისა და მას, სომსონს ვიწვევდი სამედიატორო სასამართლოში როგორც მე გამოვარკვიე საქმის ვითარება პირადად ბ. სომსონ ბოკერიას და აგრეთვე ისსონ ბოკერიას ობლების ოპეკუნს, არ მიუძღვით არავითარი დანაშაულობა ობლების საქმეში, წამოყენებული საკითხების ფარგალში, ამიტომ ვაცხადებ მათ სრულ უდანაშაულობას.

სპირიდონ ალექსის ძე ბოლქვაძე.

რედაქტორი ი. ციცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲮᲠᲔᲡᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲓᲜᲔᲣᲚᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲫᲛ. ᲫᲝᲠᲯᲝᲚᲐᲫᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲣ ᲜᲐᲚᲝ.

ᲐᲑᲐᲜᲝ.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ცივებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

ᲡᲐᲦᲘ ᲙᲣᲭᲘ
ᲟᲔᲚᲐᲒᲐᲠᲘ ექ. ვეზისა.

ასალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ავადმყოფობის, მოშლის, ნაწლავების, კატარის და საჭმლის გადამხარ შეკედ ნაწიალების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული ავადმყოფობა წყარო მოელი წყება კუჭ-ნაწლავების მოშლისა, პირის დებინებისა, სომწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლავების კატარისა, გემორროისა, იწვევს სისხლის მოწამლვას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. ავადმყოფობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ სათვალარათო წამლებს, რომელიც არა თუ სჭობს ავადმყოფობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **ᲟᲔᲚᲐᲒᲐᲠᲘ** ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაგვის მასსას, ასადებს ნაწლავებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სჭობს ზვალს, ნაწლავების კატარს, მიგრენს და სხვა სასუსტეს, რომელიც გამოწვეულია ავადმყოფობისაგან. **ᲟᲔᲚᲐᲒᲐᲠᲘ** სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჯიუტ ავათმყოფობისაგანაც კი. პრეპარატ **ᲟᲔᲚᲐᲒᲐᲠᲡ** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტეუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ეოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის

დაწვრილებით ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი **ᲟᲔᲚᲐᲒᲐᲠᲘ** ექ ვეზისა მზადდება სოფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაკტიკულ მედიცინის ფარმაციის ცხოვრებაში“ და ქუთაისში **ᲐᲠᲩᲘᲚ ᲨᲐᲕᲔᲠᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

ᲟᲔᲚᲐᲒᲐᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲝᲚᲝᲤᲝ ᲦᲘᲠᲡ 3 მ., მოსარჩენათ საჭირო 3—5 კოლოფი. 9 (წლიური)